



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 147

2016 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში
წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 30 მაისის N101 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების 2016 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრების 2016 წლის 20 ივლისის N891719 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის წესი და პირობებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსიდან მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

**ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების 2016 წლის საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი საპროექტო
 განაცხადები**

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	შენიშვნა
1	YS-2016-20	მეორე მსოფლიო ომი ქართულ და პოლონურ კულტურულ მემკვირვებაში (მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი ქართული და პოლონური ლიტერატურების მაგალითზე)	არ არის წარმოდგენილი ინგლისური ბიუჯეტი და დასაბუთება
2	YS-2016-27	ანიონური -ATP აზების როლი სინაფსური გადაცემის რეგულაციაში	ინგლისური ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ნაცვლად ატვირთულია ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ცარიელი ფაილი;
3	YS-2016-31	ბისმუტის ფერიტის კრისტალზე მაგნიტომეტრული სენსორების დამზადება და კვლევა	1. პირველი წლის კვლევითი საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს;
4	YS-2016-33	ნაწილობრივ გადამტანი არატოქსიკური მეტაბოლური ფრაგმენტების შემცველი მარკოპეტეროციკლების სინთეზი, ახალი კლიკ ქიმიის მეთოდით	1. პირველი წლის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 30 000 ლარს; 2. პირველი წლის კვლევითი საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს;
5	YS-2016-34	ფოტონდუცირებული პროცესების ნაწილობრივ შესწავლა დნმ-ში	1. ორივე წლის კვლევითი საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს ბიუჯეტის ინგლისურ ვერსიაში; 2. ქართული და ინგლისური ბიუჯეტები განსხვავდება;
6	YS-2016-35	საგანმანათლებლო პროექტი საქართველოში და ეროვნული იდენტობა (1800-1900)	ორივე წლის ზედნადების ხარჯი აღემატება 1500 ლარს;
7	YS-2016-37	საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა მე-11 მე-15 საუკუნეებში	1. პირველი წლის ზედნადების ხარჯი აღემატება 1500 ლარს; 2. ქართული და ინგლისური ბიუჯეტი არ ემთხვევა ერთმანეთს
8	YS-2016-40	ნეირონული წრეების აქტივობის თავისებურება ეპილეფსიისა და აუტიზმის კომორბიდობის შემთხვევებში	არ არის წარმოდგენილი ახალგაზრდა მეცნიერის მენტორის ინგლისური CV